ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29. 29243117**
თარიღი:**06/11/2024**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61 -ე მუხლის მეორე პუნქტის, 122-ე მუხლისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 04 ნოემბრის №28-282430943 წერილის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს გადასცეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შემდეგი ქონება: **ქ. თერჯოლა, კოსტავას (ყოფილი გიორგაძის) ქ. №2 -ში განთავსებულ შენობაში არსებული ფართი 137,438 მ^2 (7 ოთახი), წარმოდგენილი შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისად.**

მუხლი 2. ქონების მომსახურებისათვის გაწეული დანახარჯების (ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მომსახურების, გაზისა და ინტერნეტის) ხარჯების დაფარვა დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 3. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM